



ბრძანება

N 04/51

26/02/2020

51-01-4-202002261853



**შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ განცხადების ნაწილობრივ დასაშვებად ცნობის,
მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ**

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის „ბ“ პუნქტის, „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-12 მუხლის, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის, მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და მე-14 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის ნაწილში, დასაშვებად იქნეს ცნობილი შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ (ს/კ 406125189) განცხადება მოპასუხეების შპს „თარი 08“-ს (ს/კ 202438399), შპს „ტანდემის“ (ს/კ 202440466), შპს „ნილის“ (ს/კ 200135558), შპს „Aladashvili&co“-ს (ს/კ 404970046), შპს „ილი ჯგუფის“ (ს/კ 205265808), შპს „New Star“-ის (ს/კ 406053577) და შპს „ელფის“ (ს/კ 205122302) მიმართ და საქართველოს კონკურენციის სააგენტომ (შემდგომში - „სააგენტო“), წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, დაიწყოს მოკვლევა მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის ნაწილში, დაუშვებლად იქნეს ცნობილი შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ განცხადება მოპასუხე შემსყიდველი ორგანიზაციების - ქ. თბილისის კრწანისის, ვაკის, მთაწმინდის, სამგორის, გლდანის, დიდუბის, ჩუღურეთის, ნაძალადევის, ისნის და საბურთალოს რაიონების გამგეობების მიმართ, თანდართული დასაბუთებული დასკვნის გათვალისწინებით.

3. სააგენტოში შეიქმნას მოკვლევის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

3.1. ნანა რამაზაშვილი - სააგენტოს ეკონომიკური კონკურენციის დაცვის დეპარტამენტის კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებების გამოვლენისა და აღკვეთის სამმართველოს უფროსი (მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელი);

3.2. აკაკი ცერცვაძე - სააგენტოს ეკონომიკური კონკურენციის დაცვის დეპარტამენტის კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებების გამოვლენისა და აღკვეთის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

3.3. გვანცა ჩადუნელი - სააგენტოს ეკონომიკური კონკურენციის დაცვის დეპარტამენტის კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებების გამოვლენისა და აღკვეთის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

3.4. ზინაიდა ჩხაიძე - სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

3.5. გიორგი მალაკელიძე - სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი.

4. მოკვლევის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება ეცნობოს შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფს“, შპს „თარი 08-ს“, შპს „ტანდემს“, შპს „ნილს“, შპს „Aladashvili&co“-ს, შპს „ილი ჯგუფს“, შპს „New Star“-ს და შპს „ელფს“.

5. მოკვლევის ჯგუფმა, კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადებისა და პროცედურების დაცვით, განახორციელოს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნათა შესაძლო დარღვევის ფაქტის მოკვლევა.

6. მოკვლევის დაწყების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

7. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.


8. ბრძანების მე-2 პუნქტის გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).

9. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ განცხადება (რეგ. N01/1188, 18.12.2019; N01/02 06.01.2020); სააგენტოს ეკონომიკური კონკურენციის დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათი (N03/48, 24.02.2020)

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე



**საქართველოს კონკურენციის სააგენტოს დასკვნა შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“
განცხადების ნაწილობრივ დაუმეგბლად ცნობასთან დაკავშირებით
„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის ნაწილში**

1. აღწერილობითი ნაწილი

2019 წლის 18 დეკემბრის N01/1188 და 2020 წლის 6 იანვრის N01/02 წერილებით საქართველოს კონკურენციის სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) წარმოდგენილ იქნა შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ (ს/კ 406125189) განცხადება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მე-7 და მე-10 მუხლების შესაძლო დარღვევის შესახებ. განცხადებაში აღნიშნულია შემდეგი:

1) შემსყიდველი ორგანიზაციები - ქ. თბილისის კრწანისის რაიონის გამგეობა, ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგეობა, ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის გამგეობა, ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობა, ქ. თბილისის გლდანის რაიონის გამგეობა, ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობა, ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა, ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობა, ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობა და ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობა სახელმწიფო შესყიდვებში უპირატესობას ანიჭებენ კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტებს და დისკრიმინაციული პირობების დაწესებით, მნიშვნელოვნად ზღუდავენ კონკურენციას;

2) ურთიერთშეთანხმებული მოპასუხე ეკონომიკური აგენტები (6 კომპანია) შეთანხმებული მოქმედებების შედეგად, მნიშვნელოვნად ზღუდავენ კონკურენციას.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების ამ ნაწილში განვითარებული მსჯელობა და ფაქტობრივი გარემოებები შეეხება მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციების, კერძოდ, განმცხადებლის მიერ დასახელებული 10 გამგეობის ქმედებების შედეგად კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობის შეფასებას.

წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, კანონის 23-ე მუხლის თანახმად, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სააგენტომ ჩართო მოპასუხე შემსყიდველი ორგანიზაციები: ქ. თბილისის კრწანისის რაიონის გამგეობა, ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგეობა, ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის გამგეობა, ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობა, ქ. თბილისის გლდანის რაიონის გამგეობა, ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობა, ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა, ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობა, ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობა და ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობა. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში სააგენტომ გამოითხოვა ინფორმაცია როგორც მოპასუხე ეკონომიკური აგენტებისაგან, ასევე სასაბუღალტრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურების გამწევი სხვა სუბიექტებისაგან.

განცხადებაში გამოთქმულ მოსაზრებებთან და ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით აღნიშნულმა პირებმა სააგენტოში წარმოადგინეს წერილობითი მოსაზრებები.

2. საქართველოს კანონმდებლობა

ა) მატერიალური მხარე

კანონის მე-2 მუხლის თანახმად, კანონის მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკრძალებათ:

ა) სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების შერწყმა, კავშირების, ასოციაციების, გაერთიანებების ან სხვა სახის სამეწარმეო სტრუქტურების შექმნა, თუ ეს იწვევს კონკურენციის შესუსტებასა და შეზღუდვას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათების დაწესება, რომლებიც მას კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან/და სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციისათვის სახელმწიფო სტრუქტურების შექმნა, ან არსებული სტრუქტურებისათვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც შეზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ე) ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც იწვევს ეკონომიკური აგენტისათვის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნას, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნას და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ამ კანონის დარღვევის შემთხვევაში წარუდგინოს დასაბუთებული წერილობითი დასკვნა და შესაბამისი რეკომენდაცია ამ ორგანოს მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების თაობაზე, მათ შორის, მოსთხოვოს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი დასვას შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე.

„საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანების (შემდგომში „საქმის მოკვლევის წესი“) მე-2 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია, საქმის მოკვლევა

დაიწყოს საკუთარი ინიციატივით ან განცხადების/საჩივრის საფუძველზე, საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

ბ) პროცედურული მხარე

კანონის მე-16 მუხლის თანახმად, კონკურენციის პოლიტიკის განსახორციელებლად იქმნება სააგენტო, მე-17 მუხლით კი დადგენილია სააგენტოს საქმიანობის პრინციპები, კერძოდ: დამოუკიდებლობა, არადისკრიმინაციულობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. აღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარე, სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მისი გადაწყვეტილება საჯარო უნდა იყოს.

კანონის 22-ე მუხლის თანახმად, სააგენტოში განცხადების წარდგენის უფლება აქვს განმცხადებელს, რომელიც მხარედ არ განიხილება. განმცხადებელი არის პირი, რომელსაც აქვს ინფორმაცია ან მტკიცებულება, რომ არსებითად ირღვევა კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა, თუმცა ამის შედეგად მას უშუალოდ არ ადგება ქონებრივი ზიანი, რაზედაც შესაბამისი განცხადებით მიმართავს კონკურენციის სააგენტოს.

ამავე კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტო განცხადების მიღებიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სწავლობს მისი დასაშვებობის საკითხს. აღნიშნული ვადა, „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანების (შემდგომში „საჩივრის წარდგენის წესი“) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შეადგენს 30 დღეს. ამავე ბრძანების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დასაშვებობის ვადის დინება ჩერდება, თუ განმცხადებლისაგან მოთხოვნილია დამატებითი ინფორმაცია ან მტკიცებულებები. ვადა ჩერდება განცხადებლის შესაბამისი პასუხის მიღებამდე. კანონის 24-ე მუხლისა და საქმის მოკვლევის წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უარს ამბობს განცხადების საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, მათ შორის, თუ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი.

სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1. განმცხადებლის პოზიცია

შპს „ჯ და აუდიტ სერვისი ჯგუფი“ განმცხადებაში მიუთითებს კრწანისის, ვაკის, მთაწმინდის, სამგორის, გლდანის, დიდუბის, ჩუღურეთის, ნაძალადევის, ისნის და საბურთალოს რაიონების გამგეობების მიერ გამოცხადებულ ტენდერებში (NAT190023466, NAT190021427, NAT190021310, NAT190021176, NAT190021075, NAT190021016, NAT190021008, NAT190020980, NAT190020910, NAT190020907) შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან მოპასუხე ეკონომიკური აგენტებისათვის უპირატესობის მინიჭებასა და ბაზრის მონაწილე სხვა ეკონომიკური აგენტის საქმიანობის შეფერხების გზით კონკურენციის მნიშვნელოვნად შეზღუდვის თაობაზე.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ შესყიდვის კატეგორიებში, რომელიც უკავშირდება სასაბურთალოს და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურებას (შესყიდვის კატეგორია: 55500000), ზემოთ ჩამოთვლილ ტენდერებში, შემსყიდველი გამგეობები ითხოვენ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას, რაც გულისხმობს, რომ პრეტენდენტს საკუთრებაში ან სარგებლობაში უნდა ჰქონდეს მომსახურების გასაწევად საჭირო ფართი. განმცხადებლის პოზიციით, აღნიშნული მოთხოვნა წარმოადგენს დაუსაბუთებელ ბარიერს, რადგან პრეტენდენტს უწევს გაუმართლებელი ხარჯის გაწევა ისე, რომ არ იცის, გაიმარჯვებს თუ არა ტენდერში. ეს კი ეწინააღმდეგება როგორც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტს (სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა), ასევე წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის დარღვევას.

განმცხადებლის პოზიციით, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის დარღვევას წარმოადგენს ასევე ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობის მიერ გამოცხადებულ NAT190023466 ტენდერში, სატენდერო დოკუმენტაციაში ჩადებული პირობა პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ - კერძოდ, პრეტენდენტს 2016 წლის 01 იანვრიდან (ტენდერის გამოცხადებამდე) უნდა გააჩნდეს კვებითი მომსახურების გაწევის არანაკლებ შესყიდვის ობიექტის ღირებულების 100%-ის ოდენობის გამოცდილება. განმცხადებლის შეფასებით, ამგვარი პირობა კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტზე მორგებულ და გადაჭარბებულ მოთხოვნას წარმოადგენს, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რომ სხვა მუნიციპალიტეტების მიერ მოთხოვნილია შესყიდვის ობიექტის 50%-ის ოდენობის ღირებულების გამოცდილება.

3.2. მოპასუხეების პოზიცია

გამგეობების პოზიციით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ განმცხადებლის მიერ დასახელებული ტენდერები ეხება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მცხოვრები, მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთათვის უფასო სასადილოებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებს. მოპასუხეები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ აღნიშნული მომსახურების შესყიდვა წარმოადგენს მომეტებული საზოგადოებრივი საჭიროებისა და ინტერესის საგანს. იგი ეხება წლის განმავლობაში ყოველდღიურად სოციალურად დაუცველი მოქალაქეების საკვებით უზრუნველყოფას. ამ კუთხით ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აღნიშნული მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად, უწყვეტ რეჟიმში. შესაბამისად, ერთი დღით დაგვიანებამ ან მომსახურების გაწევის სხვაგვარმა შეფერხებამ შეიძლება მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების საკვებით უზრუნველყოფის გარეშე დარჩენის სახით, სავალალო შედეგები გამოიწვიოს.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, გამგეობები მიუთითებენ, რომ ხსენებული რისკების შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დიდი ყურადღებითა და სიზუსტით ახდენენ სატენდერო პირობების ჩამოყალიბებას. გამგეობების პოზიციით, გამარჯვებულის გამოვლენამდე, ბუნებრივია, რომ მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ადგილზე შეამოწმონ ის სავარაუდო ფართები, სადაც მიმწოდებელი ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში მოახდენს შესაბამისი მომსახურების გაწევას. ამდენად, გარანტირებული უნდა იყოს ის ფაქტი, რომ პრეტენდენტს გააჩნია შესაბამისი ფართი აღნიშნული მომსახურების გასაწევად. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი მხოლოდ ტენდერში გამარჯვების შემდეგ დაიწყებს ფართის მოძიებას, დიდი რისკის ქვეშ დადგება შესაბამისი ვალდებულებების შესრულება და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ინტერესები.

გამგეობების პოზიციაში ასევე აღნიშნულია, რომ სატენდერო პირობები არ ავალდებულებს პრეტენდენტს, წინადადების წარდგენის მომენტში საკუთრებაში ან პირდაპირ მფლობელობაში გააჩნდეს აღნიშნული ფართი. კერძოდ, სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, შესაძლებელია ასევე ფართთან დაკავშირებით წინარე ხელშეკრულების წარმოდგენა. აღნიშნული კი გამგეობებს აძლევს შესაძლებლობას, დარწმუნდნენ პრეტენდენტის ხელთ არსებულ იმის რეალურ რესურსში, რომ გამარჯვების შემთხვევაში იგი უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ფართით. მეორე მხრივ, ეს წინაპირობა უზრუნველყოფს ასევე პრეტენდენტის შესაძლებლობას, ტენდერში გამარჯვებამდე არ გასწიოს არანაირი დამატებითი ხარჯი ფართთან დაკავშირებით და შემოიფარგლოს მხოლოდ წინარე ხელშეკრულების დადებით. მსგავსი სატენდერო პირობა კი გამორიცხავს განმცხადებლის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს სატენდერო დოკუმენტაცია შერჩევა-შეფასების პროცესამდე უქმნის პრეტენდენტს წინასწარი ხარჯების გაწევის აუცილებლობას.

გამგეობები ასევე მიუთითებენ იმის შესახებ, რომ მათ მიერ დაწესებული მოთხოვნები არ იყო მორგებული რომელიმე კონკრეტულ სუბიექტზე. აღნიშნულ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა არაერთი ეკონომიკური აგენტი, რასაც ასევე ადასტურებს ის გარემოება, რომ განმცხადებლის მიერ დასახელებულ ტენდერებში მონაწილეობას იღებდნენ და იმარჯვებდნენ სხვადასხვა კომპანიები მათ შორის, შპს „ტანდემი“, შპს „Aladashvili & co“, შპს „ელფი“, შპს „ილი ჯგუფი“.

ამასთან პოზიციაში აღნიშნულია ის ეკონომიკური აგენტები, რომლებიც ასევე აკმაყოფილებდნენ სატენდერო მოთხოვნებს: შპს „ალიონი“, შპს „მანიბა“, შპს „ჩიხურა“.

4. სამოტივაციო ნაწილი

4.1. კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა

პირველ რიგში სააგენტო განმარტავს, რომ განმცხადებლის მიერ სადავოდ გამხდარი ტენდერების შეფასებისას, თავიდანვე უნდა გამოირიცხოს კანონის მე-10 მუხლის „ა“, „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების დარღვევის სავარაუდო ფაქტი, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევებში, ადგილი არ აქვს გამგეობების მიერ ხსენებული ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებებს - საწარმოების, ასოციაციების ან გაერთიანებების შექმნას, შერწყმას, საგადასახადო ან სხვა სახის შეღავათის დაწესებას, საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციისათვის სახელმწიფო სტრუქტურების შექმნას და ა.შ. ასევე საქმეში არ არის წარმოდგენილი გამგეობების მხრიდან ისეთი გადაწყვეტილების მიღების მანიშნებელი ფაქტი, რომელმაც გამოიწვია ეკონომიკური აგენტისათვის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნა.

სააგენტო მიიჩნევს, რომ განსახილველი სადავო ტენდერების წინაპირობები შესაძლებელია შეფასდეს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებაში, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკრძალებათ ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან/და სხვაგვარი შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მოცემულ შემთხვევაში, სადავოდ გამხდარი სატენდერო მოთხოვნები, შესაძლოა წარმოადგენდეს სწორედ ეკონომიკური აგენტის/აგენტების სამეწარმეო საქმიანობის შემაფერხებელ გარემოებებს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე [...] მხოლოდ კონკურენციის პირობებშია შესაძლებელი სუბიექტის თავისუფალი წარმოშობა, საქმიანობა და არსებობის შეწყვეტა. კონკურენციისადმი ხელის შეწყობით სახელმწიფო ახალისებს ბაზარზე სიცოცხლისუნარიანი სუბიექტების საქმიანობას. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ჯანსაღი სამოქალაქო ბრუნვის ჩამოყალიბებას.“¹

თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის უფლება იცავს ეკონომიკურ აგენტებს სახელმწიფოს მხრიდან გაუმართლებელი ბარიერების დაწესებისგან. ეს უკანასკნელი ვალდებულია, თავი შეიკავოს ეკონომიკური აგენტებისათვის არათანაბარი პირობების შექმნისაგან და მიიღოს ზომები კონკურენტული ეკონომიკური გარემოს, თავისუფალი ბაზრის სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნებისთვის. გარდა ამისა, ხსენებული უფლება იცავს ეკონომიკურ აგენტებს მათ საქმიანობაში სახელმწიფოს დაუსაბუთებელი ჩარევისაგან, მათ

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე N1/2/411, 19.12.2008, პარ. 3 და 5.

შორის, შერჩევითი საფუძვლით რომელიმე ეკონომიკური აგენტისათვის სარგებლის მინიჭებისაგან.²

სააგენტო განმარტავს, რომ სწორედ სახელმწიფოს აღნიშნული ვალდებულების შესრულებას ისახავს მიზნად კანონის მე-10 მუხლი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უკრძალავს ისეთი ქმედებების განხორციელებას, რომელიც ხელს უშლის თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას.

საყურადღებოა, ასევე, ის გარემოება, რომ კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში მოცემული ჩანაწერი „სამეწარმეო საქმიანობა და დამოუკიდებლობა“ ერთი შეხედვით, ტოვებს იმის შთაბეჭდილებას, რომ თითქოს საქმე გვაქვს ამ ნორმის გამოყენების კუმულატიურ წინაპირობებთან, რაც ეკონომიკური აგენტის, როგორც სამეწარმეო საქმიანობის, ასევე, დამოუკიდებლობის შეზღუდვის ერთდროულად არსებობის აუცილებლობას გულისხმობს.

სააგენტოს მიერ ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით,³ ტერმინი „სამეწარმეო საქმიანობა“ მოიცავს ეკონომიკური აგენტის მიერ შესაბამის ბაზარზე დამოუკიდებელი და თვითმყოფადი მოქმედების შესაძლებლობასაც. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ნორმა ერთმანეთისაგან განასხვავებს „სამეწარმეო საქმიანობას“ და „დამოუკიდებლობას“, შეფასების უმთავრეს საგანს წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტი.

მნიშვნელოვანია განიმარტოს, კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, კონკრეტულად რა შეიძლება მოიაზრებოდეს სამეწარმეო საქმიანობის შეფერხების ქვეშ. კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, მისი მიზანია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა. გარდა ამისა, იგი, ასევე, ემსახურება ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფას, ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის არამართლოზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობას, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას და ა.შ.

სწორედ აღნიშნულ მიზნებთან შესაბამისობაში უნდა მოხდეს კანონის მე-10 მუხლის თითოეული დებულების შეფასება, ვინაიდან კანონის ეს მუხლი პირდაპირ არის მიმართული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ და მხოლოდ აქ არის თავმოყრილი ამ ორგანოებისათვის აკრძალულ ქმედებათა ფართო სპექტრი. შესაბამისად, ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობის შეფერხებად უნდა დაკვალიფიცირდეს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც ამ ეკონომიკურ აგენტს უქმნის კონკრეტულ შესაბამის

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე N2/11/747, 14.12.2018, პარ. 3 და 7.

³ სააგენტოს 2019 წლის 18 ივლისის N04/240 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება; სააგენტოს 2017 წლის 5 სექტემბრის N04/248 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება; სააგენტოს 2016 წლის 28 დეკემბრის N245 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება; სააგენტოს 2016 წლის 30 სექტემბრის N168 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება; სააგენტოს 2018 წლის 7 აგვისტოს N01/216 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება; სააგენტოს 2019 წლის 18 ივლისის N04/240 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება.

ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციულ, სამართლებრივ ან/და დისკრიმინაციულ ბარიერს/ბარიერებს, არამართლოზომიერად ზღუდავს ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციას ან ეწინააღმდეგება ეკონომიკურ აგენტებს შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპს და ა.შ. ამდენად, სააგენტო, თითოეული განცხადების/საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე აფასებს, შესაძლოა თუ არა, ადგილი ჰქონდეს ამ მუხლით გათვალისწინებულ რომელიმე შემადგენლობის არსებობის სავარაუდო ნიშნებს და ისე იღებს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ საკითხზე მოკვლევის დაწყების შესახებ.

4.2. გონივრული ეჭვის სტანდარტი, როგორც მოკვლევის დაწყების საფუძველი

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ განცხადების/საჩივრის დასაშვებობის საკითხის შესწავლა ხდება ორ ეტაპად: ჯერ მოწმდება, აქვს თუ არა სააგენტოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება, აწარმოოს მოკვლევა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით, შემდგომ ხდება იმის ანალიზი, შესაძლებელია თუ არა სააგენტოს უფლებამოსილებას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით შემოსული განცხადების/საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყება, მათ შორის, გონივრული ეჭვის სტანდარტის დაკმაყოფილებიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ საკითხის განხილვა სააგენტოს უფლებამოსილების ფარგლებში არაა, მისი შინაარსობრივი ანალიზი არ ხორციელდება და დაუშვებლობა დგინდება პროცედურულ საფუძველზე.

სააგენტო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ განცხადებაში საუბარია კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ დარღვევაზე. შესაბამისად, განცხადების დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყებისთვის საჭიროა შემდეგი:

1. სახეზე უნდა იყოს ქმედების ჩამდენი სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. აღნიშნული დანაწესის მიხედვით, კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნათა სავარაუდო დარღვევის საკითხი შესაძლებელია შეფასდეს მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ ორგანოებთან მიმართებით.

2. უნდა კმაყოფილდებოდეს გონივრული ეჭვის სტანდარტი.

ა) კანონის მე-10 მუხლის სუბიექტები

კანონის მე-10 მუხლის სპეციალურ სუბიექტებს წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. შესაბამისად, მოპასუხე ჩაითვლება ამ მუხლის სუბიექტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს დასახელებული ორგანოებიდან ერთ-ერთს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 63-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით უზრუნველყოფს თბილისის მართვას, ხოლო 65-ე მუხლის მიხედვით, თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება თბილისის წარმომადგენლობითი ორგანოს – თბილისის საკრებულოს და თბილისის აღმასრულებელი ორგანოების სისტემის – თბილისის მერიის მეშვეობით. ამავე კოდექსის მე-80 მუხლის პირველი

პუნქტის შესაბამისად თბილისის ადმინისტრაციულ ერთეულში – რაიონში იქმნება თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანო – თბილისის რაიონის გამგეობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქ. თბილისის გამგეობა, როგორც ქ. თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანო ექცევა, კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრულ „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს“ ცნებაში და წარმოადგენს ამ ნორმის სუბიექტს.

ბ) გონივრული ეჭვის სტანდარტი, როგორც მოკვლევის დაწყების საფუძველი

კონკრეტულ საკითხზე მოკვლევის დაწყება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს ხელთარსებული ინფორმაცია/დოკუმენტები აკმაყოფილებს გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს, რომელიც მოკვლევის დაწყების აუცილებელი წინაპირობაა.

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს, როგორც კონკურენციის სამართლის აღმასრულებელ და კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს, უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა განცხადება/საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს. ამასთან, სააგენტო ყურადღებით აფასებს განცხადებაში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს განცხადების დასაბუთებულობას. გარდა ამისა, სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევის შედეგად მეტად სავარაუდოა სამართალდარღვევის დადგენა. საბოლოოდ, ფასდება მოპასუხის/მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი საპირწონე არგუმენტები და მტკიცებულებები, ისევე როგორც საჯარო წყაროებიდან მოპოვებული ან სხვა სუბიექტებისგან მიღებული სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა საქმისათვის გამოსადეგი იყოს და გადაწყვეტილება დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის შესახებ მიიღება სააგენტოში მოგროვებული ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე.

ვინაიდან საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში არ არის განმარტებული გონივრული ეჭვი, სააგენტო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყურადღებას აქცევს ევროკომისიის პრაქტიკასა და ანალოგიური ტერმინის ევროპულ განმარტებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს განმცხადებლის ფორმალურ სტატუსს. ევროკომისიის სახელმძღვანელოში კონკურენციის სამართლის პროცედურის კუთხით⁴ ევროკომისია მიესალმება სხვადასხვა ორგანიზაციების მხრიდან კონკურენციის სამართლის შესაძლო დარღვევაზე ინფორმაციის მიღებას, თუმცა ასევე განსაზღვრავს ამ ორგანიზაციების უფლებების ფარგლებს.

მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ მომჩივნისთვის დადგენილ მაღალ სტანდარტს, უფლება აქვთ კომისიას მიაწოდონ ინფორმაცია ბაზრის შესახებ, თუმცა კომისიას არ აქვს არავითარი ვალდებულება, რეაგირება მოახდინოს ასეთ ინფორმაციაზე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ევროკომისია იგნორირებას უკეთებს მსგავს ინფორმაციას. პირიქით, ხშირია შემთხვევები, როცა მსგავსი განცხადების შემდეგ კომისია

⁴ Antitrust Manual of Procedures, Internal DG Competition working documents on procedures for the application of Articles 101 and 102 TFEU, March 2012; თავი 21-ე, წარმოება საჩივართან დაკავშირებით, პარაგრაფი 1; (http://ec.europa.eu/competition/antitrust/information_en.html).

იწყებს დაკვირვებას შესაბამის ბაზარზე, სხვადასხვა ეკონომიკურ ინდიკატორზე, შესაძლოა გამოითხოვოს ინფორმაცია ეკონომიკური აგენტებისგან და როდესაც ექნება დასაბუთებული ეჭვი კონკურენციის სამართლის დარღვევის შესაძლო დარღვევის შესახებ, მხოლოდ მას შემდეგ იწყებს მოკვლევის ფორმალურ პროცედურას.

განმცხადებლისგან განსხვავებით, ევროკავშირის კანონმდებლობა ითვალისწინებს მომჩივანის ფორმალურ სტატუსს. მომჩივანს კონკურენციის კანონმდებლობის (შესაძლო) დარღვევის შედეგად უნდა ადგებოდეს ზიანი და მასვე ევალება შესაძლო სამართალდარღვევის შესახებ მტკიცებულებების წარმოდგენა. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც კი, ევროკომისიას აქვს მოკვლევის დაწყების შესახებ დისკრეტია.

ევროკომისიის ნოტა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ⁵ განმარტავს, რომ “კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების ფაზას. ამ ფაზის დროს, კომისია ამოწმებს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ მოკვლევას”.

ზემოხსენებული ნოტა ასევე იმეორებს, რომ „ევროკომისია არ არის ვალდებული, ყველა საჩივრის შესახებ მოკვლევა დაიწყო“ და რომ „იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებს ფორმის⁶ მოთხოვნებს, მაგრამ საკმარისად ვერ ასაბუთებს მასში აღნიშნულ ბრალდებებს, კომისიას ამ საფუძვლით მისი უარყოფა შეუძლია.“

კონკრეტული საჩივრის უარყოფა არ ნიშნავს იმის დადგენას, რომ საჩივარში დასმული საკითხები (მატერიალური კუთხით) არ არღვევს კონკურენციის კანონმდებლობას. ეს უბრალოდ ნიშნავს იმას, რომ კომისიამ ამ ეტაპზე აღნიშნული საჩივარი დაუსაბუთებლად ჩათვალა, რაც არ გამორიცხავს მოგვიანებით კომისიის, ეროვნული კონკურენციის ორგანოს ან სასამართლოს მიერ იმავე საფუძვლით დარღვევის დადგენას.⁷

მართალია, ევროკავშირის პრაქტიკაში გონივრული ეჭვის სტანდარტი განმარტებულია საჩივართან მიმართებით, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეალობაში, განსხვავებით ევროკავშირისგან, განცხადებისა და საჩივრის მიმართ გამოიყენება დასაშვებობის ერთნაირი პროცედურა. საქართველოს კანონმდებლობა სააგენტოს უდგენს ფორმალურ ვალდებულებას, მოახდინოს რეაგირება ნებისმიერ შემოსულ განცხადებაზე, კერძოდ, შეაფასოს მათი ფორმალური და შემდგომში, მატერიალური დასაშვებობა. ამდენად, გონივრული ეჭვის სტანდარტი თანაბრად მოქმედებს ორივე შემთხვევაში.

ამავდროულად, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კონკურენციის კანონმდებლობა სააგენტოს ანიჭებს კონკურენციის პოლიტიკის დამოუკიდებლად განხორციელების უფლებამოსილებას. ეს კი გულისხმობს, საქმის გარემოებების შესწავლისა და შეფასების

⁵ Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU (იხ. http://ec.europa.eu/competition/consultations/2010_best_practices/best_practice_articles.pdf), პარა. 11-12.

⁶ ევროკომისიის მიერ დადგენილი საჩივრის ფორმა.

⁷ იხ. Commission Notice on the handling of complaints by the Commission under Articles 81 and 82 of the EC Treaty, პარა. 72.

შედეგად, გონივრული ექვის სტანდარტის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მიღებას მოკვლევის დაწყება/არდაწყების დასაბუთებულობისა და მიზანშეწონილობის თაობაზე.

განცხადებაში აღწერილი გარემოებები გაანალიზებულია სწორედ ზემოაღნიშნული პირობების ჭრილში.

4.3. გამგებების მიერ, სატენდერო მოთხოვნად, მომსახურების გასაწევად პრეტენდენტის საკუთრებაში ან სარგებლობაში საჭირო ფართის არსებობის პირობის დაწესება და მისი მიმართება კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტთან

როგორც უკვე აღინიშნა, 2019 წლის 18 დეკემბრის N01/1188 და 6 იანვრის N01/02 წერილებით შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფმა“ სააგენტოში წარმოადგინა განცხადება კანონის მე-7 და მე-10 მუხლების სავარაუდო დარღვევის შესახებ.

მე-10 მუხლის ნაწილში შესაბამის მოპასუხე სუბიექტებს წარმოადგენენ ქალაქ თბილისის კრწანისის, ვაკის, მთაწმინდის, სამგორის, გლდანის, დიდუბის, ჩუღურეთის, ნამალადევის, ისნის და საბურთალოს რაიონების გამგებები, ხოლო კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევას წარმოადგენს სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში იმგვარი მოთხოვნის დაწესება, რომელიც პრეტენდენტს ავალდებულებს, საკუთრებაში ან სარგებლობაში ჰქონდეს მომსახურების გასაწევად საჭირო ფართი.

სააგენტოს მიერ შესწავლილ იქნა განმცხადებლის მხრიდან დასახელებული გამგებების ტენდერების (NAT190023466, NAT190021427, NAT190021310, NAT190021176, NAT190021075, NAT190021016, NAT190021008, NAT190020980, NAT190020910, NAT190020907) დოკუმენტაცია და სატენდერო მოთხოვნები.

შესწავლილი დოკუმენტაციის შედეგად დგინდება, რომ სახელმწიფო შესყიდვის კატეგორიებში, რომელიც უკავშირდება სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურებას (შესყიდვის კატეგორია: 55500000), გამგებების მიერ დაწესებული ტექნიკური მოთხოვნები (მომსახურების ვადები, აღრიცხვის მეთოდები, სანიტარული და ჰიგიენური ნორმები, მიწოდების ვადები, შესაბამისი კადრები, სასადილოს ფუნქციონირებისათვის საჭირო შესაბამისი ინვენტარი, კვების ხარისხის სერტიფიკატები, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და სხვა) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებისა და ბენეფიციარების გათვალისწინებით პრაქტიკულად ერთგვაროვანია (გარდა გამგებების მიერ მოთხოვნილი პრეტენდენტის გამოცდილებისა).

ხსენებული მოთხოვნის მიხედვით, პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს სასადილოს ფუნქციონირებისათვის საჭირო შესაბამისი ინვენტარი, რაც გულისხმობს იმას, რომ პრეტენდენტს საკუთრებაში ან სარგებლობაში უნდა გააჩნდეს მომსახურების გასაწევად საჭირო ფართი ან წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი წინარე ხელშეკრულება. ფართის საკუთრების დასადასტურებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ან უფლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, ხოლო სარგებლობის უფლებით ფლობის შემთხვევაში, სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, რომელთა მოქმედების ვადა ტოლი უნდა იყოს ან აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების

ვადას. ასევე, ატვირთული უნდა იქნას ზემოაღნიშნული ფართის მესაკუთრის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. წინარე ხელშეკრულების წარმოდგენის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს ფართის მესაკუთრის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ან სხვა.).

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობის შესახებ წინასწარი მოთხოვნა გულისხმობს მხოლოდ მომსახურების გასაწევად საჭირო ფართის არსებობას და ამ მოთხოვნით არ არის გათვალისწინებული რაიმე დამატებითი ტექნიკური საშუალებების (ინვენტარი, ჭურჭელი, და ა.შ.) არსებობის აუცილებლობა.

შესაბამისად პრეტენდენტებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ მოთხოვნა შეეძლოთ დაეკმაყოფილებინათ 3 გზით:

- შესაბამისი ფართის საკუთრებაში ქონის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა;
- შესაბამისი ფართის სარგებლობაში (იჯარა, გირავნობა.) ქონის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა;
- შესაბამისი ფართით სარგებლობის წინარე ხელშეკრულების წარდგენა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ, შესრულების ან/და ფუნქციურ სპეციფიკაციებთან, აგრეთვე პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით, განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის. თუმცა, ამავე მუხლით გათვალისწინებულია, რომ ხსენებული მოთხოვნები უნდა იყოს პროპორციული და არადისკრიმინაციული, ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას და პრეტენდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას.

ზემოთ განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე აშკარაა, რომ შესყიდვის ობიექტის ტექნიკური, შესრულების ან/და ფუნქციურ სპეციფიკებთან, ასევე პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემებთან დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრა წარმოადგენს შემსყიდველის დისკრეციულ უფლებამოსილებას. თუმცა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლითა და „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლით განისაზღვრება დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები, რომელიც გულისხმობს სატენდერო მოთხოვნების დაწესებას პროპორციული, არადისკრიმინაციული და კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფის გზით.

განსახილველ წინაპირობასთან დაკავშირებით სააგენტო განმარტავს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან, მომსახურების გასაწევად საჭირო ფართის საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოთხოვნა, წარმოადგენს შესაბამისი ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკის დაზღვევის ერთ-ერთ შესაძლებლობას. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, შეამოწმოს ის სავარაუდო ფართი, სადაც მიმწოდებელი ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში მოახდენს შესაბამისი მომსახურების გაწევას, რაც შეუძლებელი იქნებოდა პრეტენდენტის მიერ კონკრეტული ფართის შეთავაზების გარეშე.

ამასთან, გასათვალისწინებელია რომ ტენდერში მონაწილე სუბიექტებს ჰქონდათ შესაძლებლობა ალტერნატივაც, კერძოდ, შეეძლოთ წარმოედგინათ წინარე ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების ერთ-ერთ ლოიალურ სახეს. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლი მე-3 პუნქტი ითვალისწინებს ე.წ. წინარე ხელშეკრულების ინსტიტუტს, კერძოდ, „ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება“.

წინარე ხელშეკრულება არის ვალდებულებით სამართლებრივი გარიგება, რომლითაც მხარეები კისრულობენ სხვა ხელშეკრულების დადების ვალდებულებას. ანუ მხარეები სამართლებრივად იბოჭავენ თავს მომავალში ე.წ. ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულებით. სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლის ასეთი მიზეზი შესაძლოა იყოს როგორც ტექნიკური ასევე სამართლებრივი ხასიათის, მათ შორის მაგალითად იმ მომენტში მხარის მიერ სახელმწიფო შესყიდვაში ერთ-ერთ პრეტენდენტად მონაწილეობა (ანუ პირი მონაწილეობს სახელმწიფო ტენდერში თუმცა, ჯერ არ არის მასში გამარჯვებული, შესაბამისად არ დამდგარა ძირითადი ხელშეკრულების დადების საჭიროება ფართის შესაკუთრესთან.).

აღნიშნული შეთანხმება, ხელს უწყობს რა სახელშეკრულებო ურთიერთობის გამყარებას, იმყოფება განსაზღვრულ მიმართებაში ე.წ. ძირითად ხელშეკრულებასთან, რომელიც, როგორც წესი, მიმართულია კონკრეტული შედეგის მიღწევისკენ მაშინ, როდესაც წინარე ხელშეკრულებით, რომელიც წინ უსწრებს ძირითად ხელშეკრულებას, მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ მომავალში დადებენ გარიგებას წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით. წინარე ხელშეკრულებაში მხარეებმა ნათლად უნდა განსაზღვრონ, თუ რა არსებითი პირობებით აპირებენ ისინი მომავალში ძირითადი ხელშეკრულების დადებას. წინარე ჩვეულებრივი ხელშეკრულებაა და მის მიმართ ვრცელდება ყველა ის მოთხოვნა, რაც ხელშეკრულებების მიმართ.

წინამდებარე მსჯელობიდან გამომდინარე, მაგალითისთვის შესაძლებელია წინარე ხელშეკრულებით განისაზღვროს ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულება/წინაპირობა იმ შედეგის დადგომის შემთხვევაში, თუ პირი გაიმარჯვებს შესაბამის ტენდერში. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ასევე იმ ფაქტს, რომ იმ შემთხვევაში, თუ წინარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წინაპირობა (ტენდერის მოგება) არ დადგება, მხარეებს არ წარმოეშვებათ ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ ამგვარი სატენდერო პირობით პრეტენდენტს არ მოეთხოვება შესაბამისი ფართის პირდაპირ მფლობელობაში ქონა და მას ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ წინარე ხელშეკრულების წარმოდგენით, წინასწარი დანახარჯების გარეშე.

შესაბამისად აშკარაა, რომ შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან ამგვარი ალტერნატივის - „წინარე ხელშეკრულების“, დაწესება არ არის მიმართული რომელიმე კონკრეტული ეკონომიკური აგენტის სასარგებლოდ და თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ვერ იქნება მიჩნეული გაუმართლებელ ფინანსურ ბარიერად. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სატენდერო პირობებში, ქონების საკუთრებასა და სარგებლობასთან ერთად, წინარე ხელშეკრულების წარმოდგენის შესაძლებლობა, მისი სამართლებრივი და ეკონომიკური ბუნებიდან გამომდინარე, თეორიულადაც კი არ წარმოადგენს კონკურენციის შემზღვეველ

ქმედებას. „წინარე ხელშეკრულების“ წარმოდგენის შესაძლებლობა საშუალებას იძლევა, წინასწარი დანახარჯების გარეშე შესყიდვაში მონაწილეობა მიიღონ იმ პირებმა, რომელთაც იმ დროისათვის არ გააჩნიათ პირდაპირ მფლობელობაში ტენდერით მოთხოვნილი შესაბამისი ფართი. შესაბამისად აღნიშნული გზით ფართოვდება იმ პირთა წრე, ვინც შეიძლება ჩაერთოს ტენდერში, როგორც პოტენციური მიმწოდებელი. სააგენტოს პოზიციით, განსახილველი სატენდერო მოთხოვნა არ წარმოადგენს იმგვარ ბარიერს, რომლის არსებობაც არ არის დასაბუთებული და შემსყიდველის მიერ დასახული მიზნის არაპროპორციული. ასევე, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ზემოხსენებული მოთხოვნა თანაბრად მიემართება ტენდერში მონაწილე ყველა სუბიექტს, არ იკვეთება მისი დისკრიმინაციული ხასიათი და ადგილი არ აქვს არსებითად თანაბარი შემთხვევების მიმართ განსხვავებულ მიდგომას. შესაბამისად, არ შეიძლება, შემსყიდველის მხრიდან ხსენებული მოთხოვნის დაწესება ჩაითვალოს კონკურენციის შემზღვეველ ქმედებად.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ განცხადება ამ ნაწილში ვერ აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს.

4.4. ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობის მიერ 2019 წლის 4 დეკემბერს გამოცხადებული NAT190023466 ტენდერით გათვალისწინებული პრეტენდენტის გამოცდილების მოთხოვნის შეფასება კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით

განმცხადებელმა ასევე სადაოდ გახადა ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობის მიერ 2019 წლის 4 დეკემბერს გამოცხადებული NAT190023466 ტენდერით გათვალისწინებული პრეტენდენტის გამოცდილების მოთხოვნა, რომელიც გულისხმობდა პრეტენდენტის 2016 წლის 01 იანვრიდან ტენდერის გამოცხადებამდე კვებითი მომსახურების გაწევის არანაკლებ შესყიდვის ობიექტის ღირებულების 100%-ის ოდენობის გამოცდილებას. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ სხვა გამგეობების მიერ გამოცხადებულ იგივე შესყიდვის კატეგორიებში მოთხოვნილია შესყიდვის ობიექტის 50%-ის ოდენობის ღირებულების გამოცდილება. შესაბამისად, მისი პოზიციით, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტებზე სატენდერო პირობების მორგებითა და სხვა ეკონომიკური აგენტებისათვის გადაულახავი ბარიერის შექმნით, სახეზეა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის დარღვევა.

სააგენტოს მიერ შესწავლილ იქნა როგორც ისნის რაიონის გამგეობის მიერ გამოცხადებული სადავო ტენდერი, ასევე, განმცხადებლის მიერ დასახელებული სხვა გამგეობების მიერ გამოცხადებული ტენდერები. შესაბამისად გამოიკვეთა, რომ 2019 წელს მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქისათვის უფასო სასადილოებით მომსახურებასთან დაკავშირებით გამგეობების მიერ გამოცხადებულ ტენდერებში, შემსყიდველი ორგანიზაციები პრეტენდენტის გამოცდილებასთან მიმართებით აწესებენ განსხვავებულ მოთხოვნებს.

მაგალითისათვის, დიდუბის, სამგორის, გლდანის და ჩუღურეთის გამგეობები ითხოვდნენ, რომ პრეტენდენტს ჰქონოდა 2017 წლის 01 იანვრიდან ტენდერის გამოცხადებამდე

კვებითი მომსახურების გაწევის არანაკლებ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 50%-ის ოდენობის გამოცდილება.

ვაკის, კრწანისის, საბურთალოს და მთაწმინდის გამგეობები ითხოვდნენ 2017 წლის 01 იანვრიდან, ტენდერის გამოცხადებამდე კვებითი მომსახურების გაწევის კონკრეტული ოდენობების (თანხის) გამოცდილებას, რომელთა პროცენტული წილი გასაწევი მომსახურების სავარაუდო ღირებულების 52%-დან 87% -მდე მერყეობს.

რაც შეეხება ისანს და ნამალადევს, პირველ შემთხვევაში მოთხოვნილია 2016 წლის 01 იანვრიდან ტენდერის გამოცხადებამდე კვებითი მომსახურების გაწევის გამოცდილება არანაკლებ გასაწევი მომსახურების სავარაუდო ღირებულების 100%-ისა, ხოლო, ნამალადევის შემთხვევაში, - 2015 წლის 1 იანვრიდან ტენდერის გამოცხადებამდე კვებითი მომსახურების გაწევის გამოცდილება, არანაკლებ გასაწევი მომსახურების სავარაუდო ღირებულების 50%-ისა.

ასევე მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შემუშავებული აქვს მეთოდური მითითებები შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპისათვის. აღნიშნულ დოკუმენტში მითითებულია ორი შესაძლო ალტერნატივა, რომელიც შემსყიდველმა შესაძლოა გამოიყენოს პრეტენდენტთა ბრუნვის მოთხოვნის საჭიროების შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია პირველი ალტერნატივა, რომლის ფარგლებში შემსყიდველი ორგანიზაცია აფასებს პრეტენდენტის ზოგად შესაძლებლობებს სხვა მიმდინარე ვალდებულებების გათვალისწინების გარეშე.

აღნიშნული მეთოდური მითითებების თანახმად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება მრავლდება 12-ზე და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მულტიპლიკატორზე (მისი მნიშვნელობა(ოდენობა) დამოკიდებულია პროექტის განხორციელების სირთულეზე), რომლის მინიმალური რეკომენდირებული ოდენობა არის 0,5. მიღებული რიცხვი იყოფა მიწოდების ვადაზე. ამ ფორმულით ხდება წლიური ბრუნვის მოთხოვნის გამოანგარიშება 1 წელიწადზე.

განსახილველ ტენდერებთან დაკავშირებით ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მიწოდების ვადები თითოეულ მათგანში განსაზღვრულია 12 თვით. შესაბამისად, გამოდის რომ შემსყიდველს შეუძლია მოითხოვოს თითოეულ წელიწადზე შესყიდვის სავარაუდო ღირებულების მინიმუმ 50%-ის გამოცდილება (მულტიპლიკატორის მინიმალური მაჩვენებლის შემთხვევაში). აღნიშნული ოდენობა შესაბამისად იზრდება შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ტენდერის გამოცხადებამდე მოთხოვნილი გამოცდილების ხანგრძლივობის გათვალისწინებით (მაგ. თუ ერთი წლის გამოცდილებაზე შესყიდვის სავარაუდო თანხის 50% მოთხოვნაა რეკომენდირებული, 2 წელზე შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს 100% და ასე შემდეგ).

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის ბოლოს გამოცხადებულ, განსახილველ ათივე ტენდერში დაცულია შესყიდვების სააგენტოს მითითებები ბრუნვის მოთხოვნასთან დაკავშირებით (მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიდგომა არაა სავალდებულოდ შესასრულებელი და მას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს). მეტიც, რიგ შემთხვევებში, მოთხოვნილი გამოცდილება ბევრად უფრო დაბალიც კი არის.

კონკრეტულად ქ. თბილისის ისნის გამგეობის მიერ გამოცხადებული ტენდერით მოთხოვნილია 2016 წლის 01 იანვრიდან, ტენდერის გამოცხადებამდე კვებითი მომსახურების გაწევის არანაკლებ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 100%-ის (2 090 400 ლარი) გამოცდილება. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული გამოცდილება მოთხოვნილია 4 წელზე, რაც,

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შემუშავებული მეთოდური მითითებების გათვალისწინებით, მინიმუმ 4 180 800 ლარის მომსახურების გაწევის გამოცდილების მოთხოვნის შესაძლებლობას იძლეოდა. ამდენად, ქ. თბილისის ისნის გამგეობის მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში ჩადებული პირობა - მომსახურების გაწევის არანაკლებ სავარაუდო ღირებულების 100%-ის გამოცდილების მოთხოვნის შესახებ - ბევრად ნაკლებია იმ ოდენობაზე, რისი მოთხოვნის შესაძლებლობაც გააჩნია შემსყიდველ ორგანიზაციას.

სააგენტო აღნიშნავს, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად, გააჩნდა სრული ლეგიტიმური უფლება, დაეწესებინა მსგავსი მოთხოვნა საკუთარი შეხედულებისამებრ. თავის მხრივ, ამავე კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, კონკრეტული მოთხოვნების შემუშავება და დაწესება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ არადისკრიმინაციულობის და მიუკერძოებლობის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს, რასაც საფუძვლად ბაზრის შესწავლა და შემსყიდველის საჭიროებების გათვალისწინება უნდა დაედოს.

ამკარაა, რომ შემსყიდველ ორგანიზაციებს გამოცდილების ოდენობის კუთხით განსხვავებული მიდგომები აქვთ, თუმცა, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ როგორც ისნის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში, ასევე, დანარჩენ 9 ტენდერშიც დაცულია შესყიდვების სააგენტოს მითითებები და დაწესებულია ამ მითითებებთან შედარებით ნაკლები გამოცდილების ზღვარი.

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ შემსყიდველების მიერ მოთხოვნილი იყო არა კონკრეტულად სახელმწიფო შესყიდვებში ამგვარი მომსახურების გაწევით დაგროვილი გამოცდილება, არამედ, ზოგადად, კომპანიის მიერ კვებითი მომსახურების გაწევის სფეროში არსებული გამოცდილება. რაც შეეხება კონკრეტულად ისნის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ტენდერს (NAT190023466), სააგენტომ დამატებით შეისწავლა იმ დროისათვის ბაზარზე არსებული მდგომარეობა და დადგინდა, რომ მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვებში დაგროვილი გამოცდილებით, იმ დროისათვის ისნის გამგეობის მიერ დაწესებული შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 100% -იან გამოცდილებას, გამარჯვებული კომპანიის (შპს „შპს Aladashvili & co“ (ს/კ 404970046)) გარდა, აკმაყოფილებდნენ სხვადასხვა გამგეობების მიერ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილე შემდეგი კომპანიები: შპს „ელფი“ (ს/კ 205122302), შპს „თარი-08“ (ს/კ 202438399), შპს „ილი ჯგუფი“ (ს/კ205265808), შპს „ტანდემი“ (ს/კ202440466). ასევე სააგენტოსათვის შპს „ალიონისა“ (ს/კ406077169) და შპს „მანიბას“ (ს/კ406076570) მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით გამოიკვეთა, რომ ეს წინაპირობა არ წარმოადგენდა მათთვის მონაწილეობის მიღების ბარიერს. თუ მივიჩნევთ, რომ ამ ბაზარზე მოქმედი კომპანიები მომსახურების მიწოდებას ახორციელებენ არა მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების მეშვეობით, არამედ კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან ან სხვა ნებისმიერ ორგანიზაციასთან პირდაპირ სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის გზით, სავარაუდოა, რომ წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების ოდენობა შესაძლოა მნიშვნელოვნად აჭარბებდეს მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვებში მიღებულ გამოცდილებას.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სააგენტო მიიჩნევს, რომ ისნის გამგეობის მიერ დაწესებული მოთხოვნა არ იყო მორგებული რომელიმე კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტზე, ვინაიდან, ამკარაა, რომ განმცხადებლის მიერ სადაოდ გამხდარი ტენდერის

შემთხვევაში, შესყიდვის ოდენობის 100% მომსახურების გაწევის გამოცდილება გააჩნდა ბაზარზე მოქმედ არაერთ სუბიექტს.

საბოლოოდ, სააგენტო მიიჩნევს, რომ საქმის მასალების შესწავლისა და მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის შედეგად, არ იკვეთება ქალაქ თბილისის ისნის რაიონის გამგეობის მხრიდან ეკონომიკური აგენტების საქმიანობის სავარაუდო შეფერხების ფაქტი. ასევე, არ გამოკვეთილა რომელიმე კონკრეტული ეკონომიკური აგენტისათვის სატენდერო პირობების მორგების გზით მისთვის რაიმე სახის შეღავათების დაწესების გონივრული ეჭვი, რომლებიც მას კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას მიანიჭებდა. შესაბამისად, სააგენტოს პოზიციით, განცხადება ამ ნაწილში ვერ აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტების დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს.

დასკვნა შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ განცხადების დაუშვებლობის შესახებ (მე-10 მუხლის ნაწილში) - შეჯამება

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევის ნაწილში, ქ. თბილისის კრწანისის რაიონის, ქ. თბილისის ვაკის რაიონის, ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის, ქ. თბილისის სამგორის რაიონის, ქ. თბილისის გლდანის რაიონის, ქ. თბილისის დიდუბის რაიონის, ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის, ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის, ქ. თბილისის ისნის რაიონისა და ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობებთან მიმართებით, სააგენტოს არ წარმოეშვება სავარაუდო დარღვევის არსებობის გონივრული ეჭვი. ამდენად, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ განცხადება დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი.